

ისლამური ფაქტორი რუსეთის ჩრდილო კავკასიურ

პოლიტიკაში

სალომე დარსალია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე კავკასიური კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კავკასიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა დარსალია,საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

სალომე დარსალია

6.07.2015

აბსტრაქტი

საკვლევ თემას და ამ ნაშრომის მთავარ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი, რუსეთის პოლიტიკა ამ რეგიონთან მიმართებაში და განსაკუთრებით კი ისლამის ფაქტორი რუსეთის ჩრდილო კავკასიურ პოლიტიკაში. ჯონ ბედლის თქმით, „დედამიწის არც ერთ კუთხეში, არც ერთ ამავე სიდიდის ტერიტორიაზე, არ ცხოვრობს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ამდენი განსხვავებული ტომისა და მოდგმის ხალხი, როგორც კავკასიაში“ და მაინც ამგვარი ეთნიკური სიჭრელისა არსებობს რაღაც ისეთი ფენომენი, რაც მას ხელს უშლის სრული პოლიტიკური ფრაგმენტაციისგან, რომელიც კრავს რეგიონს, ეს ფენომენია ისლამი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ რეგიონში სახელმწიფოებრიობის გრძელი ისტორია თითქმის არ არსებობს, ეს ფაქტორი ნამდვილად ხელს უწყობს, გარკვეული ხარისხით და მცირე გამონაკლისებით, ამ ხალხების მიერ საკუთარი თავის ერთიანად აღქმას. ასევე განსახილვეელია ის გარემოება, თუ რა დოზითაა რუსეთი ჩართული ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებში და როგორია მისი დამოკიდებულება ამ რეგიონისადმი, რათა უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატოს საკვლევი საკითხი, რა როლს თამაშობს რელიგია, ისლამი რუსეთის მიერ ნწაროებულ ჩრდილო - კავკასიურ პოლიტიკაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში რელიგიას, კონკრეტულად კი ისლამს აქვს განსაკუთრებული დატვირთვა ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის ხასიათს ჩრდილოეთ კავკასიაში განსაზღვრავდა ისლამიზმი და ნაციონალიზმი. გარდა ამისა ეს ორი ფაქტორი არ იყო ერთმანეთის შემავსებელი და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაშიც მოდიოდნენ ერთმანეთთან. ისლამიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთ დამოკიდებულა ახდენდა გავლენას წინააღმდეგობის მოძრაობის მიმდინარეობაზე. ამ პროცესებში რა თქმა უნდა დიდი იყო საერთაშორისო ქვეყნების დაინტერესება და ჩართულობა. ამ მხრივ გამონაკლის არ წარმოადგენდა რუსეთიც.

რუსეთის ინტერესი ამ რეგიონის მიმართ ჯერ კიდევ კიევის რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იჩენს თავს. მის შემდგომ რუსეთი აქტიურადაა ჩართული ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ,

სოციალურ, ეკონომიკურ პროცესებში. რა თქმა უნდა დროთა განმავლობაში იცვლებოდა რუსეთის მიდგომა ამ რეგიონისადმი. თუ კი რაღაც პერიოდი რუსეთი თავის პოლიტიკას აშკარად გამოხატულ ძალისმიერ მეთოდებზე აფუძნებდა, რაღაც პერიოდი პირიქით იყენებდა რეგიონის შიგნით არსებული უთანხმოების გამომწვევ ფაქტორებს, ეს იქნებოდა ნაციონალიზმი, თუ ისლამიზმი. სწორედ ამ გარემოებაზე გვექნება საუბარი, რამდენად დიდი იყო რუსეთის დაინტერესება და ჩართულობა რეგიონში არსებული კონფლიქტის ისლამიზაციაში და რომ, წინაარმდეგობის მოძრაობა არის რუსეთის პოლიტიკის ძირითადი სტრატეგია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნაციონალიზმი, ისლამიზმი

Abstract

The main point of the research topic is the north Caucasus region; Russian policy towards the region and more importantly Islam factor in above mentioned policy. According to the John beddoe "There is no corner on the earth, where the people of different languages, tribe or race lived on such a huge territory as it is in Caucasus" and still despite of such ethnic diversity there is something of a phenomenon, that prevents it from political fragmentation, that binds the region, it is the phenomenon of Islam. Considering the fact that the region has not got a long history of statehood this factor really contributes on a several level with low exceptions, the Self-perception of these people as a union. It also should be considered the level of Russian involvement in the North Caucasus political, social and economic issues; its attitude towards the region to more clearly expresses the issue of study, what is the role of religion, Islam in Russia's North Caucasian policy.

North Caucasus religion, namely Islam has a special meaning; this is demonstrated by the fact that the nature of the resistance movement in the North Caucasus was determined by Islamism and nationalism.

In addition, these two factors were not complement and they often contradicted with one another. Islamism and nationalism interdependent influenced on the course of the resistance movement. Definitely there was a great interest and involvement in above mentioned process from international countries. In this regard, Russia was not an exception. Russia's interest in the region arose in the initial stage of forming the state of Kievan Russia. Since then Russia is actively involved in the political, social and economic processes of north Caucasus. Of

course over time Russia's approach to the region was changing. If for the specific period of time Russia's policy was establishing on clear violent methods, then for some time, Russia used devise factors within the region, this would be nationalism, or Islamism.

So the topic of discussion will be - how huge was the interest and involvement of Russia in the Islamization of the conflict and that the resistance movement is not the basic strategy of Russian policy.

Basic key words: nationalism, islamism.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ლაშა დარსალიას. კვლევის პროცესში მისი კრიტიკული მოსაზრებები და რელევანტური რჩევები გახდა საფუძველი იმ თეორიული მიგნებებისა, რომელის გარეშეც ნაშრომი ვერ შეიქმნებოდა. ასევე, მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ნაშრომზე მუშაობის პროცესში აქტიურად მიჭერდნენ მხარს.